



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

25 დეკემბერი 2023



N 735/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შპს „პარვუს ბასრას“ 35 კვ ძაბვის „ბასრას“ მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „პარვუს ბასრას“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 35 კვ ძაბვის „ბასრას“ მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, „ბასრას“ მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა დაგეგმილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. შემოქმედის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე. საპროექტო ეგხ, 35 კვ ძაბვის დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის მეშვეობით, დააკავშირებს მდ. ბჟუჟას ხეობაში მშენებარე „ბასრა 1“, „ბასრა 2“ და „ბასრა 3“ ჰესებს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ კუთვნილი „ოზურგეთი 110“-ის ქვესადგურიდან გამომავალ 35 კვ ძაბვის „შემოქმედის“ ეგხ-დან და უზრუნველყოფს აღნიშნული ჰესების მიერ გამოიშვებულ ელექტროენერჯის საერთო ქსელში ჩართვას. საპროექტო ეგხ მოიცავს 224 საყრდენს და იგი წარმოდგენილი იქნება საკაბელო ხაზით, რომლის საერთო სიგრძე შეადგენს 5472 მეტრს. „ბასრას“ ეგხ-ის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X-260172.6449, Y-4638686.7801; X-260747.1618, Y-4634281.7902. საწყისი მონაკვეთიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე (სოფ. შემოქმედი) პირდაპირი მანძილი დაახლოებით 1640 მეტრია, ხოლო საზაფხულო კურორტ გომისმთის დასახლებულ ტერიტორიამდე – 2425 მეტრი. საპროექტო ეგხ-იდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ბჟუჟი, დაშორებულია დაახლოებით 20-30 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ეგხ-ის დერეფანი დაიწყება „შემოქმედის“ ეგხ-დან (GPS კოორდინატები: X-260167, Y-4638686), სადაც დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განთავსდება 35 კვ ძაბვის დახურული გამანაწილებელი მოწყობილობა. აღნიშნული მიწის ნაკვეთი (ს/კ: 26.33.23.322) წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ს/კ: 26.33.23.322; ფართობი: 100 მ²), რომელსაც კომპანია ფლობს სარგებლობის უფლებით, 49 წლის ვადით. „ბასრას“ ეგხ-ის №A1 საყრდენი განთავსდება 35 კვ ძაბვის დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის სიახლოვეს (GPS კოორდინატები: X-260172.6449, Y-4638686.78), საიდანაც №A9 საყრდენამდე (GPS კოორდინატები: X-260292.207, Y-4638532.477), ეგხ გაუყვება არსებულ შიდა სატყეო გრუნტის გზას. №A9 საყრდენიდან №A92 საყრდენამდე (GPS კოორდინატები: X-260351.7995, X-4636784.7451) ეგხ-ის დერეფანი გაივლის შემოქმედი-გომისმთის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს და გადაკვეთს სახელმწიფო ტყის ტერიტორიას. №A92 საყრდენიდან (GPS კოორდინატები: X-260351.7995,

X-4636784.7451) №A158 საყრდენამდე (GPS კოორდინატები: X-260784.3261, Y-4635679.3415) ეგზ, შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე, გაივლის შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (ს/კ: 26.18.07.236), „ბჟუჟჰესის“ სათავე კვანძთან მისასვლელი გრუნტის გზის მარჯვენა მხარეს, სადაც გარკვეულ მონაკვეთებზე კვლავ გადაკვეთს სახელმწიფო ტყეს. აღნიშნული მონაკვეთი გაივლის მდ. ბჟუჟის სიახლოვეს და უახლოესი საყრდენიდან (№A157) მდინარემდე პირდაპირი მანძილი იქნება დაახლოებით 30 მეტრი. №A158 საყრდენიდან (GPS კოორდინატები: X-X-260784.3261, Y-4635679.3415) ეგზ გაუყვება „ბჟუჟჰესის“ სათავე კვანძთან მისასვლელ გრუნტის გზას და მდ. ბჟუჟის გასწვრივ, ბოლო (№A224) საყრდენამდე (GPS კოორდინატები: X-260747.1618; Y-4634281.7902) გადაკვეთს სახელმწიფო ტყის ტერიტორიას. საპროექტო ეგზ-ის დერეფანი დასრულდება შპს „პარვუს ბასრას“ სარგებლობაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 26.33.23.323; ფართობი 1103 მ²), სადაც გათვალისწინებულია „ბასრა 1“ ჰესის ძალური კვანძის მოწყობა. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ კომპანიას მინიჭებული აქვს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება (მათ შორის მშენებლობისთვის 2025 წლის 14 მარტამდე და ხე-ტყის ჭრის უფლების ნებართვით). №A158 საყრდენიდან №A224 საყრდენამდე გათვალისწინებული მონაკვეთის ფარგლებში, მდ. ბჟუჟასთან ყველაზე ახლოს მოეწყობა №A197 (GPS კოორდინატები: X-260660.9406; Y-4634942.6193) და №A217 საყრდენები (GPS კოორდინატები: X-260723.4998; Y-4634455.1831), რომლებიც მდინარიდან დაშორებული იქნება დაახლოებით 20 მეტრით. საპროექტო ეგზ-ის ბოლო მონაკვეთთან მისასვლელად, დაახლოებით 1200 მეტრ სიგრძეზე, დაგეგმილია მომსახურე/მისასვლელი გზის კეთილმოწყობა, რომლის სიგანე იქნება 2 მეტრი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, „ბასრას“ ეგზ-ისთვის გათვალისწინებულია „A10-2“, „II10-2“, „VII 10-2“ და „YAPI 10-2“ ტიპის რკინაბეტონის საყრდენების მოწყობა. აღნიშნულ საყრდენებზე კაბელის დასამაგრებლად გამოყენებული იქნება სხვადასხვა ტიპის ლითონ-კონსტრუქციები და მოწყობილობები: ტრავერსები, საკიდის დამაგრების კვანძები, სამაგრები, ანკერული დამჭიმი-მომჭერები და შუალედური დამჭერები. საყრდენებისათვის მოეწყობა „CC 10-8-7.4“ ტიპის რკინაბეტონის დგარები. საპროექტო ეგზ-ისთვის გათვალისწინებულია ფოლად-ალუმინის საჰაერო კაბელი (NA2X(FL)2Y 20,3/35 kV 3X240 მმ²; + 1x64 მმ²), მზიდი ფოლადის გვარლით, რომლის დასაშვები დენი 460 ამპერია.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სამშენებლო ბანაკისა და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დაიკვალება საყრდენების განთავსების ადგილები, რის შემდგომაც მომზადდება მათი ჩასასმელი და მისაბჯენი ანკერების თხრილები. საყრდენებისა და მისაბჯენი ანკერების განთავსების შემდგომ, განხორციელდება ექსკავირებული გრუნტის უკუყრა, თხრილების ბეტონის ხსნარით შევსება და საყრდენების ვერტიკალების გასწორება. საყრდენებზე დამონტაჟდება დამჭიმი მოწყობილობები და სახაზო არმატურა, გაყვანილი იქნება საკაბელო ხაზი და მოეწყობა დამიწების კონტური. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ, საპროექტო დერეფანი დასუფთავდება და აღდება პირვანდელი მდგომარეობა. სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 2 თვის განმავლობაში და გამოყენებული იქნება მცირე ზომის ექსკავატორ-დამტვირთველი, თვითმცლელი, მანიპულატორი და ამწე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება მშენებლობაში ჩართული ავტოსატრანსპორტო საშუალებები და ტექნიკა. დაგეგმილი საქმიანობის

მასშტაბის, ხანგრძლივობისა და უახლოეს დასახლებულ პუნქტთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მუდმივად გაკონტროლდება სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობა და მათი გადაადგილების სიჩქარეები, ხოლო ხმაურის წარმომქმნელი სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში და გატანილი იქნება მუნიციპალური ნარჩენების ურნებში, ხოლო სახიფათო ნარჩენები დროებით დასაწყობდება სამშენებლო მოედანზე, ცალკე გამოყოფილ სათავსოში და სამუშაოების დასრულების შემდგომ, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში გათვალისწინებულია დაახლოებით 164,1 მ³ მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, რომლის მართვა განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე ექსკავირებული გრუნტი სრულად იქნება გამოყენებული უკუყრისთვის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ეგზ-ის დერეფანი წარმოდგენილია მარტივი გეოლოგიური პირობებით. საპროექტო დერეფნის საველე-ექსპედიციის ფარგლებში დაძიებულ სიღრმეებზე (1,20-2,50 მეტრი) მიწისქვეშა/გრუნტის წყლები არ გამოვლენილა. დოკუმენტის თანახმად, ეგზ-ის გაყვანა დაკავშირებული არ არის ფერდობის ჩამოჭრა-დამუშავების ღონისძიებებთან, რამაც შესაძლოა გეოდინამიკური პროცესების ჩასახვა-გააქტიურება გამოიწვიოს. საკვლევ ტერიტორიაზე არ ფიქსირდება და ასევე არც საპროექტო ეგზ-ის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე არ არის მოსალოდნელი საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, როგორც უკვე აღინიშნა, „ბასრას“ ეგზ-ისთვის გათვალისწინებული უახლოესი საყრდენები მდ. ბჟუჟიდან დაშორებული იქნება დაახლოებით 20-30 მეტრით და ამასთან, ეგზ-ის დერეფანი 7 ადგილზე გადაკვეთს მცირე ზომის უსახელო სეზონურ ხევებს. დოკუმენტის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მდინარის კალაპოტში საყრდენების მოწყობა გათვალისწინებული არ არის. საყრდენების განთავსების სამშენებლო უბნების ფართობის (1 მ²), ზედაპირული წყლის ობიექტიდან დაშორების მანძილების და ასევე, ზედაპირული წყლის ობიექტსა და საპროექტო ეგზ-ის შორის არსებული ჰიფსომეტრიული ნიშნულების სხვაობის გათვალისწინებით, მდ. ბჟუჟიზე და მცირე ზომის სეზონურ ხევებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, „ბასრას“ ეგზ-ის მშენებლობის ეტაპზე სამშენებლო უბნებზე დაწესდება სათანადო კონტროლი და გატარდება შესაბამისი ღონისძიებები.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ეგზ-ის 5472 გრძივი მეტრიდან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის

საზღვრების მიხედვით, 3324 გრძივი მეტრი წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს, კერძოდ, ოზურგეთის სატყეო უბნის შემოქმედის სატყეოს (კვარტალი №13; 20; 29; 31; 35). სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. შესაბამისად, სკრინინგის განცხადების მიხედვით, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით, სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოში წარდგენილი იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. გარდა ამისა, საპროექტო ეგზ კვეთს გომის ტრაქტის გამოვლინების კონტურს. სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს „ბასრას“ ეგზ-ის გაყვანა, იმ პირობით, თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე არ შეიზღუდება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობა.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ საპროექტო ეგზ-ის ძირითადი ნაწილი გაივლის ანთროპოგენურად სახეცვლილ ტერიტორიას, შემოქმედი-გომისმთის და „ბჟუჟჰესის“ სათავე კვანძის მისასვლელი გზების გასწვრივ. დოკუმენტის თანახმად, ხე-მცენარეებზე ზემოქმედება მოსალოდნელია „ბასრას“ ეგზ-ის ბოლო მონაკვეთში (სიგრძე 1200 მეტრი), სადაც გათვალისწინებულია ახალი ტერიტორიის ათვისება, თუმცა, საპროექტო ეგზ-ის ტიპის და ბუფერული ზონის სიგანის (2 მეტრი) გათვალისწინებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის და წინასწარი მოკვლევით, დიდი რაოდენობის ხე-მცენარეების გარემოდან ამოღების საჭიროება არ დგას. აღნიშნულ მონაკვეთზე ზემოქმედებას დაქვემდებარებული 8 სანტიმეტრზე მეტი დიამეტრის მქონე ხე-მცენარეებია: 5 ძირი რცხილა (*Carpinus*), 11 ძირი წიფელი (*Fagus*), 3 ძირი ნეკერჩხალი (*Acer*) და 7 ძირი თხმელა (*Alnus*). საპროექტო დერეფნის წინასწარი შეფასებით, „წითელი ნუსხის“ სახეობების გარემოდან ამოღების საჭიროება არ არსებობს. სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბისა და საპროექტო ზონაში გავრცელებული ფლორისტული გარემოს, მათ შორის, ზემოქმედებას დაქვემდებარებულ მცენარეთა სახეობების ღირებულებისა და რაოდენობის გათვალისწინებით, ეგზ-ის დერეფანში არსებული მცენარეული საფარის გარემოდან ამოღება არ გამოიწვევს საკვლევ არეალში გავრცელებულ მცენარეთა თანასაზოგადოებების მნიშვნელოვან ცვლილებას. რაც შეეხება ფაუნისტურ გარემოს, საპროექტო დერეფნის სავლე კვლევის შედეგების თანახმად, „ბასრას“ ეგზ-ის ბუფერულ ზონაში ფაუნისტური გარემოს ცხოველქმედების ფაქტები არ გამოვლენილა და საკვლევ არეალში საკონსერვაციო ღირებულების წარმომადგენლების ბინადრობა ნაკლებად სავარაუდოა. სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ ხვდება ფრინველთა სპეციალურ დაცულ ტერიტორიებზე ან/და მათ სიახლოვეს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საპროექტო ეგზ არ წარმოადგენს მიწისზედა ეგზ-ის ტიპურ ქსელს – დიდი გაბარიტების ანკერული საყრდენებითა და ღია სადენებით და მისი გაყვანა განხორციელდება საკაბელო გადაწყვეტით, იზოლირებული სადენით, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს ფრინველების ეგზ-სთან შეჯახებით მოსალოდნელი ზემოქმედების ალბათობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ოზურგეთის მერიის

საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საპროექტო ეგზ-ის ტიპის და მახასიათებლების გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შპს „პარვუს ბასრას“ 35 კვ ძაბვის „ბასრას“ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „პარვუს ბასრა“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „პარვუს ბასრას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „პარვუს ბასრას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

